



საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ქალაქი ფოთი

№ 04/786

24 / ივნისი / 2019 წ.



KA000031672136319

ელექტრონული აუქციონის (აუქციონის N29193, ლოტის N602359) შედეგების გაუქმების შესახებ

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, მალთაყვის სანაპიროზე მდებარე 80.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.12.745) ელექტრონული აუქციონით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის, 2019 წლის 20 მაისის, N04/619 ბრძანების საფუძველზე გამოცხადდა ელექტრონული აუქციონი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, მალთაყვის სანაპიროზე მდებარე 80.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.12.745, სიტუაციური გეგმის შესაბამისად) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით.

ელექტრონული აუქციონი ჩატარდა სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ ვებგვერდზე (www.eauction.ge, აუქციონის N29193, ლოტის N602359), რომელშიც მის მიერ შემოთავაზებული თანხის 1798.00 (ერთი ათას შვიდას ოთხმოცდათვრამეტი) ლარის (თვიური საიჯარო ქირა) საფუძველზე გაიმარჯვა ფიზიკურმა პირმა პაატა ცუცქერიძემ (პირადი N01024000583), მისამართი: ქალაქი თბილისი, პავლე ასლანიძის ქუჩა N29ა, ბინა 15, რომელზეც 2019 წლის 05 ივნისს გაიცა ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი N22.

ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის საფუძველზე აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ოქმის საფუძველზე, არა უმეტეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში, აუქციონატორთან გააფორმოს სარგებლობის ხელშეკრულება, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აუქციონში გამარჯვებულს აუქციონში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე (dzmoba@outlook.com) გაეგზავნა ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი N22 და ეთხოვა ოქმში მითითებულ ვადაში გაეფორმებინა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტთან შესაბამისი სარგებლობის ხელშეკრულება.

ამასთან, აუქციონში გამარჯვებულს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის, 2019 წლის, 10 ივნისის, N02/1995 წერილით გაეგზავნა ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი N22 და ეთხოვა ოქმში მითითებულ ვადებში გაეფორმებინა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტთან შესაბამისი წერილობითი სარგებლობის ხელშეკრულება. აქვე, აუქციონში გამარჯვებული გაფრთხილებულ იქნა, რომ ოქმში მითითებული ვადის გასვლის შემდგომ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი ფიზიკურ პირთან პაატა ცუცქერიძესთან (პირადი N01024000583) ვერ გააფორმებდა სარგებლობის ხელშეკრულებას, ელექტრონული აუქციონის შედეგები გაუქმდებოდა და მის მიერ გადახილი ბე - 9.60 (ცხრა ლარი და სამოცი თეთრი) ლარი უკან არ დაუბრუნდებოდა.

აუქციონში გამარჯვებული ფიზიკური პირი პაატა ცუცქერიძე (პირადი N01024000583) ოქმში მითითებულ ვადაში არ გამოცხადდა წერილობითი სარგებლობის ხელშეკრულების გასაფორმებლად.

ამდენად, უნდა გაუქმდეს ელექტრონული აუქციონის (აუქციონის N29193, ლოტის N602359) შედეგები.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მუხლი 1. გაუქმდეს სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ ვებგვერდზე (www.eauction.ge) ჩატარებული ელექტრონული აუქციონის (აუქციონის N29193, ლოტის N602359) შედეგები.

მუხლი 2. ფიზიკური პირის პაატა ცუცქერიძის მიერ გადახდილი „ბე“ 9.60 (ცხრა ლარი და სამოცი თეთრი) ლარი სრულად ჩაირიცხოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

მუხლი 3. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საინფორმაციო, საგარეო და საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილებამ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე


(poti.gov.ge) გამოაქვეყნოს წინამდებარე ბრძანების პირველ და მეორე მუხლში აღნიშნული ინფორმაცია.

მუხლი 4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს კონსტანტინე თოფურიას.

მუხლი 5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 3).

მუხლი 6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელექტრონულად 

გოჩა კურდღელია